საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT AND NATURAL RESOURCES PROTECTION OF GEORGIA

KA060185397107614

საქართველო, 0114 თბილისი, გ.გულუას ქ. N6; ტელ:2727200, 2727220, ფაქსი:2727237; www.moe.gov.ge
6 G. Gulua Str. 0114, Tbilisi, Georgia, Tel:(+995 32) 2727200, 2727220, Fax:2727237; www.moe.gov.ge

 # 5013 **05 / სექტემბერი / 2014 წ.**

შპს "მოი-კა"-ს დირექტორს
ბატონ მამუკა მერაბიშვილს

ბატონო მამუკა,

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ განიხილა თქვენი, 2014 წლის 29 აგვისტოს №12705 წერილი. რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროს გაგრძელებზე ავტოსამრეცხაოს დაპროექტების პროცესში ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ მოთხოვნილ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს შესაბამის თანხმობას ჩასატარებელი სამუშაოების შესახებ, მიწის ნაკვეთის მდ. მტკვრის დაცვის ზოლში მოხვედრის გამო.

გაცნობებთ, რომ მიწის ნაკვეთზე შეიძლება ვრცელდებოდეს მდინარის სანაპიროს საინჟინრო დაცვის ზოლი ან/და მდინარის წყალდაცვითი ზოლი.

"საქართველოს ზღვის, წყალსატევებისა და მდინარეთა ნაპირების რეგულირებისა და საინჟინრო დაცვის შესახებ" 2006 წლის 27 დეკემბრის №4131 საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად სანაპიროების საინჟინრო დაცვის ზონების საზღვრებს შესაბამის დაინტერესებულ უწყებებსა და თვითმმართველ ერთეულებთან შეთანხმებით შეიმუშავებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი და კანონქვემდებარე აქტით ამტკიცებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი.

ამავე კანონის მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად სანაპიროს საინჟინრო დაცვის ზონაში მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო ვალდებულია ნებართვის გაცემის პროცესში დაინტერესებული

ადმინისტრაციული ორგანოს სახით ჩართოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი და სავალდებულო დასკვნისათვის გადაუგზავნოს სათანადო დოკუმენტაცია.

რაც შეეხება მდინარის წყალდაცვით ზოლში მოქმედი აკრძალვებს და სპეციალური მოთხოვნებს, იგი განისაზღვრება საქართველოს კანონით წყლის შესახებ და "წყალდაცვითი ზოლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №440 დადგენილებით, რომლის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად მდინარეების წყალდაცვითი ზოლის სიგანე აითვლება მდინარის კალაპოტის კიდიდან ორივე მხარეს და მდ. მტკვრისთვის შეადგენს 50 მეტრს.

იმავე №440 დადგენილების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად "ქალაქებში, დაბებსა და სოფლის ტიპის დასახლებულ პუნქტებში ზედაპირული წყლის ობიექტების წყალდაცვითი ზოლის დადგენა ხორციელდება გენერალური გეგმების შესაბამისად, რომლებშიც გადაწყვეტილია გარემოს დაცვის ყველა საინჟინრო, სანიტარიული და ჰიგიენური საკითხი".

ზემოთქმულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ აღნიშნული საკითხი უნდა გადაწყდეს ქ. თბილისის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის შესაბამისად.

პატივისცემით,

მინისტრის მოადგილე მაია ბითაძე

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA
PATROL POLICE DEPARTMENT

№ 20/8-174 1090 „05“ 09 2014 წ.

შ.პ.ს. „მოი–კა“–ს დირექტორს ბატონ **მამუკა მერაბიშვილს**
გარდაბნის რ/ნი, სოფ. თელეთი
თქვენს მ/წლის 2 სექტემბრის განცხადებაზე

ასლი: საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქ. თბილისის
მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილეს
ბატონ **ლაშა ჯოხაძეს**

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში განხილულ იქნა თქვენი განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, მდ. მტკვრის სანაპიროზე, მოქ. ზ. ანდრიაშვილის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.11.19.007.009) თვითმომსახურების ავტოსამრეცხაოს მოწყობას და ამასთან დაკავშირებით ითხოვთ სამუშაოთა წარმოებისა და ა/ტრანსპორტის მოძრაობის ორგანიზაციის სქემების შეთანხმებას.

ვითვალისწინებთ რა, ქ. თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის თანხმობას, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი ითანხმებს თვითმომსახურების ავტოსამრეცხაოს მოწყობის სამუშაოთა წარმოებისა და ა/ტრანსპორტის მოძრაობის ორგანიზაციის თქვენს მიერ წარმოდგენილ სქემებს.

მეორე ადრესატს: გთხოვთ უზრუნველყოთ კონტროლის დაწესება მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებების განთავსების მდგომარეობაზე თანდართული სქემების შესაბამისად. შეუსრულებლობის შემთხვევაში არ დაუშვათ სამუშაოების წარმოება და გაატარეთ ზომები ა.ს.კ 134–ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

დანართი: „ “ ფურცლად

პატივისცემით,
სპ დეპარტამენტის სისტემური მართვის სამმართველოს
საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებისა და ანალიზის
სამსახურის უფროსი კახაბერ ჭანტურიშვილი

ქ. თბილისი, ნოე რამიშვილის ქ. №38
№38, Noe Ramishvili St. Tbilisi
ტელ./Tel. : (+995 32) 241 85 02
ფაქს/Fax: (+995 32) 241 85 02
E-mail: ushba@mia.gov.ge

PRODUCED BY AN AUTODESK EDUCATIONAL PRODUCT

პირობითი აღნიშვნები

მოძრაობის მიმართულება

სამშენებლო პოლიგონის ღობე

დროებითი საგზაო ნიშნები

1.26 — 2ც 40 3.24 — 1ც

1.21.2 — 2ც 20 3.24 — 1ც

"შეთანხმებულია"

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის
ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის
მოადგილე

მ. ჭამპურიძე

"შეთანხმებულია"

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის
ქ.თბილისის მთ. სამართველოს უფროსის
მოადგილე

ლ. ჯოხაძე



შ.პ.ს როუდ სერვისი

ქსნის ქუჩის მიმდებარედ მდინარე მტკვრის გაგრძელებაზე, თვითმომსახურების ავტოსამრეცხაოს მშენებლობის პერიოდში საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემა.

დამკვეთი:	შ.პ.ს "შოი-კა"	ტელეფონი:	599552627
შემსრულებელი:	მიხეილ ზუკაკიშვილი	ტელეფონი:	595002215

მ.1:1000

ROAD SERVICE

ფურცელი №1

PRODUCED BY AN AUTODESK EDUCATIONAL PRODUCT

PRODUCED BY AN AUTODESK EDUCATIONAL PRODUCT

პირობითი აღნიშვნები

მოძრაობის მიმართულება

საგზაო ნიშნები

2.3 — 1 ც

5.7.1 — 1 ც

"შეთანხმებულია"

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის
ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის
მოადგილე

მ. ჭამპურიძე

"შეთანხმებულია"

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის
ქ.თბილისის მთ. სამართველოს უფროსის
მოადგილე

ლ. ჯოხაძე



შპს როუდ სერვისი

ქსნის ქუჩის მიმდებარედ მდინარე მტკვრის გაგრძელებაზე, თვითმომსახურების ავტოსამრეცხაოს მშენებლობის დამთავრების შემდგომ საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა.

მ.1:1000

ROAD SERVICE

ფურცელი №1

დამკვეთი:	შპს "შოი-კა"	ტელეფონი:	599552627
შემსრულებელი:	მიხეილ ზუკაკიშვილი	ტელეფონი:	595002215

PRODUCED BY AN AUTODESK EDUCATIONAL PRODUCT

განცხადება/თანხმობა

მე, ლევან აბდალაძე (პ/ნ 01017016941) წინამდებარე განცხადებით ვაცხადებ და ვადასტურებ, რომ ვარ შპს „სტუდიო ოლიმპი“-ს (ს/კ 204526236) დირექტორი და მთავარი არქიტექტორი პროექტისა (თვითმომსახურების ავტოსამრეცხაო) განხორციელებული შპს „მოი-კა“-ს (ს/კ 405051777) დაკვეთით.

წინამდებარე განცხადებით ვაცხადებ თანხმობას, რომ ზემოთ მითითებული პროექტის გაგრძელება და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი იურიდიული მოქმედების განხორციელება უზრუნველყოს შპს „პირამიდამ“ (ს/კ 406083544).

ლევან აბდალაძე _____

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	**N140955743**
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	**06.09.2014 წ**
სანოტარო მოქმედების დასახელება	**ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება**
ნოტარიუსი	**ელენე მერგელ**
სანოტარო ბიუროს მისამართი	**ქ. თბილისი, მეტროს სადგურ ახმეტელიდან მუხიანისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს, II სართული, ფართი #6**
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	**599 18 37 01**
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	**64721771809114**

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: **www.notary.ge** ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: **+995(32) 2 66 19 18**

ორიათას თოთხმეტი წლის **ექვს** სექტემბერს, მე, ნოტარიუსს – ელენე მერგელს, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, მეტროს სადგურ "ახმეტელი"-დან მუხიანში მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს, II სართული, ფართი №6, მომმართა მოქალაქე **ლევან აბდალაძემ**, რომელმაც მოითხოვა განცხადების/თანხმობის 1 ეგზ. მის მიერ ნაკარნახევი შინაარსის შესაბამისად მომზადება და განცხადებაზე/თანხმობაზე ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება, რის შედეგადაც მის მიერ ნაკარნახევი შინაარსის შესაბამისად შევადგინე განცხადების/თანხმობის ტექსტი. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად **ლევან აბდალაძემ** (დაბ. 01.01.1963წ. პ/ნ 01017016941, გაცხ. მისამართი: ქ. თბილისი, ალექსი მაჭავარიანის 16/29) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. **მან** ჩემი თანდასწრებით დაადასტურა, რომ განცხადებას/თანხმობას თავად გაეცნო და იგი მის ნებას სრულად შეესაბამება.
მხარეს ჩემს, ნოტარიუსის, მიერ განემარტა შემდეგი: 1) წინამდებარე დოკუმენტზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები; 2) წინამდებარე სანოტარო მოქმედებით ნოტარიუსი პასუხს არ აგებს დოკუმენტის შინაარსზე და ამოწმებს მხოლოდ და მხოლოდ მხარის ხელმოწერის ნამდვილობას. **ლევან აბდალაძემ** ჩემი თანდასწრებით, პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე დოკუმენტს.

წინამდებარე სანოტარო მოქმედება შესრულებულია 2 (ორი) ეგზემპლარად.

სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის გადახდევინებულია საზღაური ჯამურად **7 (შვიდი)** ლარი, მათ შორის **4 (ოთხი) ლარი** - „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების 31.3-ე მუხლის საფუძველზე, 1 (ერთი) ლარი განცხადების პროექტის მომზადებისთვის ამავე დადგენილების 31/14 მუხლისა და სარეგისტრაციო მოსაკრებელი - **2 (ორი) ლარი** - ამავე დადგენილების 39-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე.

ნოტარიუსი

ელენე მერგელ

განცხადება

(თანხმობა)

მე, ირაკლი გელაშვილი (პ/ნ 01002016046) – როგორც ზაზა ანდრიაშვილის (482725946) - უძრავი ქონების მესაკუთრის (საკადასტრო კოდი №01.11.19.007.009 და №01.11.19.007.023) უფლებამოსილი წარმომადგენელი (მინდობილობა დადასტურებული ნოტარიუსის მაია ლაგურაშვილის მიერ 11.01.2013წ. რეესტრის №130020130) წინამდებარე განცხადებით მესაკუთრის - ზაზა ანდრიაშვილის (482725946) სახელით ვაცხადებ თანხმობას მასზედ, რომ ზაზა ანდრიაშვილის კუთვნილ უძრავ ქონებაზე (საკადასტრო კოდი: №01.11.19.007.009) შპს " მოი-კა"-მ (ს/კ 405051777, დირექტორი – მამუკა მერაბიშვილი) უზრუნველყოს შენობა-ნაგებობების აღმართვა საკუთარი შეხედულებისამებრ.

წინამდებარე განცხადებით მესაკუთრის - ზაზა ანდრიაშვილის (482725946) სახელით აგრეთვე ვაცხადებ თანხმობას მასზედ, რომ ზაზა ანდრიაშვილის კუთვნილ უძრავ ქონებაზე (საკადასტრო კოდი: №01.11.19.007.023), კერძოდ 387 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე განთავსდეს საავტომობილო გზის შესასვლელი და გასასვლელი.

ხელმოწერა _____ ირაკლი გელაშვილი

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N140955633
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	06.09.2014 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	**ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება**
ნოტარიუსი	**ელენე მერგელ**
სანოტარო ბიუროს მისამართი	**ქ. თბილისი, მეტროს სადგურ ახმეტელიდან მუხიანისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს, II სართული, ფართი #6**
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	599 18 37 01
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	40627646663914

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: **www.notary.ge** ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: **+995(32) 2 66 19 18**

ორიათას თოთხმეტი წლის ექვს სექტემბერს, მე, ნოტარიუსს – ელენე მერგელს, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, მეტროს სადგურ "ახმეტელი"-დან მუხიანში მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს, II სართული, ფართი №6, მომმართა მოქალაქე **ირაკლი გელაშვილმა**, რომელმაც მოითხოვა განცხადების 1 ეგზ. მის მიერ ნაკარნახევი შინაარსის შესაბამისად მომზადება და მასზე ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება, რის შედეგადაც მის მიერ ნაკარნახევი შინაარსის შესაბამისად შევადგინე განცხადების ტექსტი. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად **ირაკლი გელაშვილმა** (დაბ. 29.09.1976. პ/№01002016046, გაცხ. მისამართი: თბილისი გლდანი V მ/რ კორ. 26ა, ბ. 46) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. **ირაკლი გელაშვილმა** ჩემი თანდასწრებით დაადასტურა, რომ განცხადებას თავად გაეცნო და იგი მის ნებას სრულად შეესაბამება.

მხარეს ჩემს, ნოტარიუსის, მიერ განემარტა შემდეგი: 1) წინამდებარე დოკუმენტზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები; 2) წინამდებარე სანოტარო მოქმედებით ნოტარიუსი პასუხს არ აგებს დოკუმენტის შინაარსზე და ამოწმებს მხოლოდ და მხოლოდ მხარის ხელმოწერის ნამდვილობას. **ირაკლი გელაშვილმა** ჩემი თანდასწრებით, პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე დოკუმენტს.

წინამდებარე სანოტარო მოქმედება შესრულებულია 3 (სამი) ეგზემპლარად.

მოქმედების შესრულებისათვის გადახდევინებულია საზღაური ჯამურად **9 (ცხრა)** ლარი, მათ შორის **6 (ექვსი) ლარი** - „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და შესახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების 31.3-ე მუხლის საფუძველზე, **1 (ერთი) ლარი** განცხადების პროექტის მომზადებისთვის ამავე დადგენილების 31/14 მუხლისა და სარეგისტრაციო მოსაკრებელი - **2 (ორი) ლარი** - ამავე დადგენილების 39-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე.